საქართველოს ორგანული კანონი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 110060000.04.001.016256) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) 2 წევრი საქართველოს პარლამენტიდან, რომელთაგან ერთი უნდა იყოს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ხოლო ერთი – საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი და რომელთაც ირჩევს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

1 ივლისი 2020 წ.

N6704-რს